განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლში, მე-18 მუხლში, 85-ე მუხლსა და 93-ე მუხლში ცვლილებების შეტანა, რომლებიც ეხება დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ჩამდინარე წყლების უკონტროლო და ნორმების შეუსაბამო ჩაშვების რეგულირებას და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრის აკრძალვას. ამ აკრძალვის უგულებელყოფა წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფარგლებში უნდა განისაზღვროს, თუ რომელი სახეობის და რა ოდენობის ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული სამართალდამრღვევის მიმართ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა განსაზღვროს დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ჩამდინარე წყლების უკონტროლო, ნორმების შეუსაბამო ჩაშვებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დამრღვევი პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფარგლებში იმ უწყების (ორგანიზაციის) განსაზღვრა, რომელსაც ექნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად:

ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე და 239-ე მუხლებში.

კოდექსის 58-ე მუხლს დაემატება მე-5 და მე-6 ნაწილები, რომლებითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირისთვის დასაკისრებელი ადმინისტრაციული სახდელის ოდენობა.

კოდექსის 239-ე მუხლს დაემატება 74-ე ნაწილი, რომლითაც მოხდება იმ უწყების (ორგანიზაციის) განსაზღვრა, რომელსაც ექნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან ცვლილება ითვალისწინებს წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ნარჩენების ჩაყრის, აგრეთვე, ტექნიკური რეგლამენტის პირობების შეუსაბამო ჩამდინარე წყლის ჩაშვების შემთხვევაში ფიზიკური პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შესაბამისად 800 და 2000 ლარის გადახდას ჯარიმის სახით. ვინაიდან შემოდის ახალი რეგულაცია, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება გამოვლენილ შემთხვევებზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება, კერძოდ, იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც წყალარინების სისტემაში ჩაყრიან ნარჩენებს ან/და წყალარინების სისტემაში ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შეუსაბამო ჩამდინარე წყლებს ჩაუშვებენ, ვინაიდან მათ მოუწევთ სამართალდარღვევისთვის პირველ ჯერზე 400 ლარის გადახდა ფიზიკური პირების შემთხვევაში და 1000 ლარის გადახდა იურიდიული პირების შემთხვევაში, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შესაბამისად 800 და 2000 ლარის გადახდა ჯარიმის სახით.

ბ.ვ) კანონპროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ნარჩენების ჩაყრის ან/და ტექნიკური რეგლამენტის პირობების შეუსაბამო ჩამდინარე წყლის ჩაშვების შემთხვევაში სასჯელის სახით ჯარიმის დაწესებას პირველ ჯერზე 400 ლარის ოდენობით ფიზიკური პირების შემთხვევაში და 1000 ლარის ოდენობით იურიდიული პირების შემთხვევაში, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შესაბამისად 800 და 2000 ლარის ოდენობით.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას და შესაბამისად, არ ადგენს მისი ოდენობის განსაზღვრის პრინციპს. შემოიფარგლება მხოლოდ საჯარიმო სანქციებით და სისტემის ოპერატორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- საკონსულტაციო კომპანია „დგ კონსალტინგის“ სპეციალისტები,
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ექსპერტები,
- განხილვის პროცესში ჩართული იყვნენ გარემოს დაცვისა და ჩამდინარე წყლების სფეროში მომუშავე სპეციალისტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტი შეთანხმებულია და დადებითადაა შეფასებული შემუშავების პროცესში მონაწილე ექსპერტების და ორგანიზაციების მიერ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა, სულხან მახათაძე, კობა ლურსმანაშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ზაზა ხუციშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა, სულხან მახათაძე, კობა ლურსმანაშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ზაზა ხუციშვილი